ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2229122

ნომერი: AR1344634

თარიღი : 25.09.2015

გაცემის თარიღი : 06.10.2015

გაცნობის თარიღი : 12.10.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანის საცხოვრებელი რაიონი , საზოგადოებრივი ცენტრის , ტერიტორიაზე V და VI მ/რ-ს შორის , (ნაკვ. 7/1) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯეირან მეშველიანი პ/ნ 01011014229
- აწყურის ქუჩა 80

ნომენკლატურა :

- რესტორანი
- II კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: რესტორანი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ ჟორჟოლიანი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: ვინაიდან ამ და მიმდებარე მიწის ნაკვეთზე შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, სადაც ს/კ #01.11.10.007.031 მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებულია ერთ სართულიანი ობიექტის (რესტორანი) განთავსება (12.06.2015 წ. №1951655), ხოლო თქვენს მიერ ესკიზის წინასწარ შეთანხმებაზე წარმოდგენილია ორ სართულიანი შენობის ფოტომონტაჟი, სამსახურს ამ ეტაპზე შესაძლებლად არ მიაჩნია 30.06.2015 წ. №1982164 ბრძანებით შეთანხმებული ვიზუალის კორექტირება. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება და ერთსართულიანი შენობის ნაცვლად იქნება ორ სართულიანი შენობა, მაშინ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილების შეტანის შემდგომ იქნება შესაძლებელი საკითხის თავიდან განხილვა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.